ოქმი:**ო02. 3725351001**

თარიღი:**17/12/2025**

ოქმი № 2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2025 წელი, 16 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

15:00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე, - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მ. ჩხიკვიშვილი, ნ. გობრონიძე, ლ. კილაძე, ტ. აროშიძე, პ. კიღურაძე, დ. ხურციძე, ნ. ურუშაძე, დ. კიკვაძე, მ. ცქვიტიშვილი, ზ. სალუქვაძე, ზ. მორჩილაძე, გ. გაბისიანი, ლ. ქვილორია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი პავლე ჭყონია.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი,რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.“

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მიაწოდა მოკლე ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტზე. აღნიშნა, რომ საკრებულოში 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი შემოტანილი იქნა საქართველოს ადგილობრივი თვითმართველობის და საბიუჯეტო კოდექსებით გათვალისწინებულ ვადებში, დადგენილი პროცედურების დაცვით. მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ სიტყვა გადასცა მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსს პავლე ჭყონიას, რომელმაც კომისიის წევრებს გააცნო მერიის მიერ 2026 წლის ბიუჯეტის კორექტირებული ვარიანტი შენიშვნებითა და შეცვლილი პარამეტრების გათვალისწინებით. პავლე ჭყონიამ აღნიშნა, რომ 2026 წლის ბიუჯეტის გადასახადების მოცულობა შეადგენს 48070,0 ათას ლარს. 2025 წლის პირველ დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 4670,0 ათ. ლარით, რაც პროცენტულად შეადგენს 10,76%-ს. თანამომხსენებელმა შემდეგ კომისიის წევრებს მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია ცალკეული პრიორიტეტებით გათვალისწინებული პროგრამების, ქვეპროგრამების დაფინანსებაზე. ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-

პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა დ საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განხილვა - დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი